საქართველოს უნივერსიტეტი

ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა

სადოქტორო პროგრამა: საზოგადოებრივი ჯანდაცვა

ხელნაწერის უფლებით

ლელა ინაიშვილი

საქართველოში ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტებში ღვიძლის ფიბროზის ხარისხის ასოციაცია კლინიკურ, სოციო - დემოგრაფიულ და ქცევით ფაქტორებთან

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური

ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

(სპეციალობა- 0904 - საზოგადოებრივი ჯანდაცვა)

თბილისი

2026 წელი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლაში.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, დოქტორანტთა კონკურსში მოპოვებული გრანტის ფარგლებში: [PHDF-24-904; "საქართველოში ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტებში ღვიძლის ფიბროზის ხარისხის ასოციაცია კლინიკურ, სოციო - დემოგრაფიულ და ქცევით ფაქტორებთან".

სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა:
სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე: ოთარ თოიძე, MD, PhD
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ფრუიძე, MD, PhD
სამეცნიერო თანახელმძღვანელი: მაია ბუწაშვილი,MD, PhD
სადისერტაციო საბჭოს წევრი: ლალი შარვაძე, MD, PhD
სადისერტაციო საბჭოს შიდა ექსპერტი: მაია კერესელიძე, MD, PhD
სადისერტაციო საბჭოს გარე ექსპერტი: მაია ჟამუტაშვილი, MD, PhD
სადისერტაციო საბჭოს გარე ექსპერტი: მამუკა ზაკალაშვილი, MD, PhD

დისერტაციის დაცვა შედგება: 2026წ. 25 ნოემბერს 16:00

მისამართი: თბილისი, კოსტავას 77, #519 აუდიტორია.
დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ვებგვერდზე:

www.ug.edu.ge

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა: 2026წელი 30 ოქტომბერს

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: ნათია მანჯიკაშვილი

შესავალი

თემის აქტუალობა, საკვლევი საკითხი

B ჰეპატიტის ვირუსი (HBV), მეტად აქტუალურ საზოგადოებრივი ჯანდაცვის გამოწვევას წარმოადგენს როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) 2026 მონაცემებით, მსოფლიოში 240 მილიონი ადამიანი არის ინფიცირებული B ჰეპატიტის ვირუსით. საქართველოში 2021 წელს ჩატარებული ეროვნული სერო-პრევალენტობის კვლევის მიხედვით: ზრდასრული მოსახლეობის 2,7% B ჰეპატიტის ზედაპირულ ანტიგენზე (HBsAg) ტესტი ქონდა დადებითი, რაც ქრონიკულ ინფექციაზე მიუთითებს, ხოლო 21.7% B ჰეპატიტის ბირთვის საწინააღმდეგო ანტისხეულები (Anti-HBc) აღმოაჩნდა დადებითი, რაც გადატანილი ინფექციის, წარსულში ინფიცირების მანიშნებელია. ქრონიკული B ჰეპატიტის (CHB) არსებობისას შესაძლოა განვითარდეს ღვიძლის ფიბროზი, პროგრესირებადი ფიბროზის ფონზე ღვიძლის ციროზი, ღვიძლის უკმარისობა და ჰეპატოცელულური კარცინომა (HCC). ქრონიკული B ჰეპატიტის დინამიკის, დაავადების სიმძიმის შეფასების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ღვიძლის ფიბროზის ხარისხი, საქართველოში აქამდე არ არის ჩატარებული სამეცნიერო კვლევა ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტებში ღვიძლის ფიბროზის ხარისხის, მის დინამიკასა და კლინიკურ, სოციო - დემოგრაფიულ და ქცევითი ფაქტორებთან ასოციაციის შეფასებაზე.

კვლევის მიზანი და ამოცანები:

კვლევის მიზანია საქართველოში მცხოვრები ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტებში ღვიძლის ფიბროზის ხარისხის, მისი დინამიკის და კლინიკურ მონაცემებთან, სოციო-დემოგრაფიულ და ქცევით ფაქტორებთან ასოციაციის შეფასება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად შესრულდა შემდეგი ამოცანები:

1. ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პირთა კოჰორტაზე დაკვირვება განმეორებითი ვიზიტების ფარგლებში

ღვიძლის ფიბროზის ხარისხის და მისი დინამიკის შესაფასებლად გარდამავალი (transient) ელასტოგრაფიით (ფიბროსკანი);

2. ღვიძლის ფიბროზის ხარისხის კლინიკურ მონაცემებთან ასოციაციის შეფასება, რომელიც ითვალისწინებს: ჰეპატობილიარული სისტემის და პორტული სისტემის ულტრასონოგრაფიულ გამოკვლევას დოპლეროგრაფიით, ლაბორატორიულ კვლევებს და ანტივირუსული მკურნალობის სტატუსის განსაზღვრას;
3. ღვიძლის ფიბროზის ხარისხის სოციო-დემოგრაფიულ მონაცემებთან და ქცევით ფაქტორებთან ასოციაციის შეფასება სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით;
4. მიღებული შედეგების საფუძველზე ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტებში ღვიძლის ფიბროზის ადრეული გამოვლენისა და მონიტორინგისათვის პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე და პრაქტიკული ღირებულება

დისერტაცია წარმოადგენს საქართველოში პირველ კვლევას, რომელიც მიეძღვნა ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტებში ღვიძლის ფიბროზის არაინვაზიურ შეფასებას, მისი ხარისხისა და დინამიკის შესწავლას გარდამავალი ელასტოგრაფიის გამოყენებით. კვლევის ფარგლებში შეფასდა ღვიძლის ფიბროზის ასოციაცია კლინიკურ (ლაბორატორიულ და ულტრაბგერით), სოციო-დემოგრაფიულ და ქცევით ფაქტორებთან. გარდა ამისა, შეფასდა ფიბროზის არაინვაზიური ინდექსების (APRI და FIB-4) და ანტივირუსული მკურნალობის სტატუსის ასოციაცია ღვიძლის ფიბროზის ხარისხთან.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება დაკავშირებულია ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტებში ღვიძლის ფიბროზის არაინვაზიური შეფასების, მონიტორინგისა და ადრეული გამოვლენის მნიშვნელობასთან. მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ღვიძლის ფიბროზთან ასოცირებული

ფაქტორების უკეთ იდენტიფიცირების, კლინიკური მეთვალყურეობის გაუმჯობესებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

დაცვაზე გამოტანილი ძირითადი დებულებები

1. ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტებში ღვიძლის ფიბროზის უფრო მაღალი ხარისხი ასოცირებულია დემოგრაფიულ და ქცევით ფაქტორებთან, კერძოდ 50 წელზე მეტ ასაკთან, მამრობით სქესთან, სხეულის უფრო მაღალ წონასა და ალკოჰოლის მოხმარებასთან.

2. ღვიძლის ფიბროზის უფრო მაღალი ხარისხი და ღვიძლის სიხისტის უფრო მაღალი მაჩვენებელი ასოცირებულია ლაბორატორიულ და ულტრაბგერით მახასიათებლებთან, მათ შორის ALT-ის, AST-ის, GGT-ის, ALP-ის, პირდაპირი ბილირუბინისა და INR-ის მატებასთან, თრომბოციტების რაოდენობის შემცირებასთან, ღვიძლის პარენქიმის არაერთგვაროვან ექოსტრუქტურასა და სპლენომეგალიასთან.

3. APRI და FIB-4 ინდექსები სტატისტიკურად სარწმუნოდ ასოცირდება ღვიძლის ფიბროზის მაღალ ხარისხთან ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტებში, ხოლო FIB-4 ინდექსსა და ღვიძლის სიხისტის მაჩვენებელს შორის გამოვლინდა ძლიერი დადებითი კორელაცია.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

დისერტაცია მოიცავს შესავალს, ოთხ თავს, დასკვნებს, რეკომენდაციებს, ორ დანართს, 17 ცხრილს, 17 გრაფიკულ ნახატს და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს; გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი მოიცავს 85 წყაროს. დისერტაცია დაწერილია 162 გვერდზე, APA-სტილის დაცვით.

ნაშრომის აპრობაცია

1. სამეცნიერო ნაშრომის შუალედური შედეგების ამსახველი აბსტრაქტი „Association of liver fibrosis grade by transient elastography (FibroScan) with ultrasound data among patients with chronic hepatitis B virus infection in Georgia“ პოსტერის სახით წარდგენილი იყო ევროპის მედიცინისა და ბიოლოგიის დარგში ულტრაბგერითი ასოციაციების ფედერაციის (EFSUMB) ყოველწლიურ, რიგით 35-ე კონგრესზე - EUROSON 2024, რომელიც ჩატარდა 2024 წლის 9-11 ნოემბერს ნეაპოლი, იტალიაში (სერტიფიკატი). აღნიშნული პოსტერი დაიბეჭდა კონგრესის აბსტრაქტების წიგნში.
2. სამეცნიერო ნაშრომის შუალედური შედეგების ამსახველი აბსტრაქტი „Transient Elastography–Measured Liver Stiffness and HBV DNA in Chronic Hepatitis B: A Cross-Sectional Study from Georgia“ წარდგენილი იყო ევროპის რადიოლოგიის კონგრესზე/European Congress of Radiology, ECR2026, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, 2026 წლის 2-8 მარტი (სერტიფიკატი), ელექტრონული პოსტერის სახით; აღნიშნული პოსტერი დაიბეჭდა კონგრესის აბსტრაქტების წიგნში და გამოქვეყნდა მინიჭებული DOI ნომრით: https://dx.doi.org/10.26044/ecr2026/C-26023 ევროპის რადიოლოგიის ასოციაციის პლათფორმაზე EPOS online viewing platform.
3. კვლევის საბოლოო შედეგების ამსახველი აბსტრაქტი: „Liver stiffness–based assessment of fibrosis stages in chronic hepatitis B patients in Georgia: associations with viral, clinical and demographic factors“ წარდგენილი იყო პოსტერის სახით აზია-წყნარი ოკეანის ღვიძლის შემსწავლელი ასოციაციის/Asian Pacific Association for the Study of the Liver (APASL) ყოველწლიურ, რიგით 35- ე კონგრესზე - APASL 2026, რომელიც ჩატარდა 2026 წლის 22-25 აპრილს ქალაქ სტამბოლში, თურქეთი (სერტიფიკატი). ზემოთხსენებული აბსტრაქტი გამოქვეყნდა

საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში Hepatology International (Springer Nature) დანართში; APASL_2026_Istanbul. Hepatol Int 20 (Suppl 1), 1–806 (2026). https://doi.org/10.1007/s12072-026-11095-3 ჟურნალი ინდექსირებულია Scopus-ის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში, Journal Impact Factor (JIF) 7.8 (2025).

4. კვლევის საბოლოო შედეგების ამსახველი მასალა ზეპირი ლექციის სახით „Ultrasound for Detection and Assessment of Chronic Hepatitis B–Related Hepatocellular Carcinoma" წარმოდგენილი იყო ევროპის მედიცინისა და ბიოლოგიის დარგში ულტრაბგერითი ასოციაციების ფედერაციის (EFSUMB) ყოველწლიურ, რიგით 36-ე კონგრესზე - EUROSON 2026, რომელიც ჩატარდა 2026 წლის 11-14 ივნისს, ლუბლინი, პოლონეთი.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის განხორციელებისთვის გამოყენებული იქნა შერეული კოჰორტული კვლევის დიზაინი, რომელიც მოიცავდა რეტროსპექტულ და პროსპექტულ კომპონენტებს. რეტროსპექტული მონაცემებისა და შემდგომი დაკვირვების შედეგების შერწყმის საფუძველზე შეფასდა ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტებში ღვიძლის ფიბროზის ხარისხი, მისი დინამიკა და კლინიკურ, სოციო-დემოგრაფიულ და ქცევით ფაქტორებთან ასოციაცია. ფიბროზთან ასოცირებული ფაქტორების შეფასება განხორციელდა ბაზისური ვიზიტის მონაცემების საფუძველზე, ხოლო ღვიძლის ფიბროზის დინამიკა შეფასდა განმეორებითი დაკვირვების ფარგლებში მიღებული გარდამავალი ელასტოგრაფიის მონაცემების გამოყენებით.

პაციენტების შერჩევა და საკვლევი პირები

კოჰორტული კვლევის სამიზნე პოპულაციას წარმოადგენენ საქართველოში მცხოვრები ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტები. კვლევის ფარგლებში მათი დეიდენტიფიცირებული

მონაცემები ამოღებული იქნა სამედიცინო ცენტრ მრჩეველის ჰეპატოლოგიური დეპარტამენტის პაციენტთა მონაცემთა ბაზიდან 2021 წლის იანვრიდან 2025 წლის დეკემბრის ჩათვლით. დაკვირვება და შეფასება განხორციელდა 1 წლის ინტერვალით.

ამონარჩევის ზომა

სამედიცინო ცენტრ „მრჩეველის“ მონაცემთა ბაზიდან რანდომულად შეირჩა 347 ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტი. ამონარჩევის ზომის განსაზღვრა განხორციელდა შემდეგი პარამეტრების გამოყენებით: პოპულაციის ზომა =100 000; სარწმუნობის დონე=95%; კვლევის ძალა=80%; არაექსპოზირებული ჯგუფის თანაფარდობა ექსპოზირებულებთან=2; შანსთა თანაფარდობა, რომლის აღმოჩენაც იყო მოსალოდნელი=2. აღნიშნული პარამეტრების მიხედვით საჭირო საკვლევი პირების რაოდენობა შეადგენდა 347 პაციენტს. www.openepi.com/SampleSize/SSCohort.htm ჩართვისა და გამორიცხვის კრიტერიუმების საფუძველზე საბოლოო ანალიზში ჩაერთო 232 პაციენტი.

ჩართვის და გამორიცხვის კრიტერიუმები:

ჩართვის კრიტერიუმი: ზრდასრული (>18წ) ქრონიკული B ჰეპატიტის ვირუსული ინფექციის მქონე პაციენტები; გამორიცხვის კრიტერიუმი: კო-ინფექციები (HDV, HCV, HIV), ღვიძლის სხვა დაავადება (გარდა მეტაბოლურ დისფუნქციასთან ასოცირებული ღვიძლის ცხიმოვანი დაავადებისა - MASLD) და სხვა ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეები.

კვლევის ინსტრუმენტი და დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარების მეთოდოლოგია:

კვლევის ინსტრუმენტი #1 - ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტთა მონაცემთა ბაზა (chart review): კვლევის ფარგლებში ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტების დეიდენტიფიცირებული მონაცემები ამოღებული იქნა სამედიცინო

ცენტრ მრჩეველის ჰეპატოლოგიური დეპარტამენტის პაციენტთა მონაცემთა ბაზიდან, რითიც შეფასდა ღვიძლის ფიბროზის ხარისხის დინამიკა და ასოციაცია კლინიკურ მონაცემებთან; კვლევის ინსტრუმენტი #2 - სტრუქტურირებული კითხვარი: სოციო - დემოგრაფიულ და ქცევით ფაქტორებთან ღვიძლის ფიბროზის ხარისხის ასოციაცია შეფასდა სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით.

ღვიძლის ფიბროზის ხარისხი და მისი დინამიკა შეფასდა ყველაზე ვალიდირებული, არაინვაზიური, ულტრაბგერაზე დაფუძნებული, ღვიძლის ბიოფსიის ალტერნატიული მეთოდით გარდამავალი ელასტოგრაფიით (transient elastography TE), ფიბროსკანით - FibroScan, Echosens Paris, France, სამედიცინო ცენტრ მრჩეველის რადიოლოგიურ განყოფილებაში, ამავე განყოფილებაში მომუშავე კვალიფიციური და Echosens-ის მიერ სპეციალურად გადამზადებული და ულტრაბგერითი ელასტოგრაფიის მიმართულებით შესაბამისი გამოცდილების მქონე ექიმი რადიოლოგების მიერ. გარდამავალი ელასტოგრაფიის მეთოდი ეფუძნება ღვიძლის სიხისტის (Liver Stiffness Measurement, LSM) განსაზღვრას, რომლის შედეგი გამოისახება კილოპასკალებში (kPa) და გამოიყენება ღვიძლის ფიბროზის ხარისხის შესაფასებლად METAVIR-ის კლასიფიკაციის შესაბამისად. კვლევა ჩატარდა სტანდარტიზებული პროტოკოლის მიხედვით, M და XL ტიპის გადამწოდების გამოყენებით. თითოეული პაციენტისთვის მიღებულ იქნა სულ მცირე 12 ვალიდური გაზომვა, ხოლო კვლევის სანდოობის კრიტერიუმად გამოყენებულ იქნა IQR/M≤20%. პაციენტები დაჯგუფდნენ ღვიძლის ფიბროზის სამ კატეგორიად: F0–F1 (ფიბროზის არარსებობა/მინიმალური ფიბროზი; <7.0 kPa), F≥2 (მნიშვნელოვანი ფიბროზი; 7.0–12.4 kPa) და F4 (ციროზი; ≥12.5 kPa). ასოციაციური ანალიზისთვის ფიბროზის კატეგორიები გადაჯგუფდა ორ ჯგუფად: დაბალი ფიბროზი (F0–F1) და მაღალი ფიბროზი (F≥2, მათ შორის F4).

ღვიძლის ფიბროზის ხარისხის კლინიკურ მონაცემებთან ასოციაციის შეფასება

ულტრაბგერითი გამოკვლევის ჩატარების მეთოდოლოგია:

ულტრაბგერითი გამოკვლევა ჩატარდა სამედიცინო ცენტრ „მრჩეველის“ რადიოლოგიის დეპარტამენტში სტანდარტული პროტოკოლის შესაბამისად. მუცლის ღრუს ულტრაბგერითი კვლევის ფარგლებში შეფასდა ღვიძლის ექოსტრუქტურა, კეროვანი წარმონაქმნები, სპლენომეგალია, ასციტი და პორტული ჰიპერტენზიის ულტრაბგერითი ნიშნები. ღვიძლის ექოსტრუქტურა კლასიფიცირდა ნორმალურ, არაერთგვაროვან და მკვეთრად არაერთგვაროვან კატეგორიებად. ასოციაციური ანალიზისთვის საწყისი სამკატეგორიული კლასიფიკაცია გადაჯგუფდა ორ ჯგუფად: ნორმალური ექოსტრუქტურა და არაერთგვაროვანი ექოსტრუქტურა, რომელიც აერთიანებდა მეორე და მესამე კატეგორიებს. ასევე შეფასდა ღვიძლის კეროვანი წარმონაქმნები, მათ შორის ჰემანგიომები, ცისტები, კალციფიკატები, ფოკალური კვანძოვანი ჰიპერპლაზია და ჰეპატოცელულური კარცინომა (HCC). დოპლერული ულტრაბგერითი კვლევით შეფასდა პორტული სისხლის მიმოქცევის მახასიათებლები.

ლაბორატორიული კვლევების ჩატარების მეთოდოლოგია:

ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა სამედიცინო ცენტრ „მრჩეველის“ ლაბორატორიაში. კვლევის ფარგლებში შეფასდა HBV ინფექციის ვირუსოლოგიური, ჰემატოლოგიური და ბიოქიმიური მაჩვენებლები. HBV-DNA განისაზღვრა რეალურ დროში პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (PCR) მეთოდით, ხოლო HBeAg – იმუნოლოგიური მეთოდით. ღვიძლის ფუნქციური მდგომარეობის შესაფასებლად განისაზღვრა ALT, AST, GGT, ALP, საერთო და პირდაპირი ბილირუბინი, ალბუმინი და INR. ასევე შეფასდა თრომბოციტების რაოდენობა (PLT). აღნიშნული ლაბორატორიული მაჩვენებლები გამოყენებულ იქნა ღვიძლის ფიბროზის ხარისხთან ასოციაციის შესაფასებლად.

ღვიძლის სიხისტის მაჩვენებლის (kPa) შეფასება:

კლინიკურ-ლაბორატორიულ და ულტრაბგერით მონაცემებთან ასოციაციისა და კორელაციის შეფასებისას გამოყენებულ იქნა ღვიძლის სიხისტის მაჩვენებელი (kPa), რომელიც განისაზღვრა გარდამავალი ელასტოგრაფიით. ასოციაციური და კორელაციური ანალიზებისათვის გამოყენებულ იქნა უშუალოდ kPa მნიშვნელობები, რაც იძლევა ღვიძლის ფიბროზის ხარისხის რაოდენობრივი შეფასების შესაძლებლობას.

ღვიძლის ფიბროზის არაინვაზიური შეფასების ინდექსები:

ფიბროზის არაინვაზიური შეფასების მიზნით გაანალიზდა ასპარტატამინოტრანსფერაზა-თრომბოციტების თანაფარდობის ინდექსი (Aspartate Aminotransferase-to-Platelet Ratio Index, APRI), ფიბროზ-4 ინდექსი (Fibrosis-4 Index, FIB-4). შეფასდა მათი ასოციაცია გარდამავალი ელასტოგრაფიით განსაზღვრულ ღვიძლის ფიბროზის სტადიებთან. APRI ინდექსი გამოითვალა შემდეგი ფორმულით: APRI = (AST/ULN) × 100 / PLT; სადაც AST წარმოადგენს ასპარტატამინოტრანსფერაზის მნიშვნელობას, ULN – AST-ის ნორმის ზედა ზღვარს, ხოლო PLT – თრომბოციტების რაოდენობას (×10⁹/ლ). AST-ის ნორმის ზედა ზღვარი შეადგენდა 40 სე/ლ მამაკაცებისთვის და 32 სე/ლ ქალებისთვის. FIB-4 ინდექსი გამოითვალა შემდეგი ფორმულით: FIB-4 = (ასაკი × AST) / (PLT × √ALT); სადაც ასაკი წარმოდგენილია წლებში, AST და ALT – სე/ლ-ში, ხოლო PLT – ×10⁹/ლ ერთეულებში.

ანტივირუსული მკურნალობის სტატუსის განსაზღვრა:

პაციენტების ანტივირუსული მკურნალობის სტატუსი დადგინდა მათი სამედიცინო ისტორიების საფუძველზე. შეფასდა, იღებდა თუ არა პაციენტი ანტივირუსულ მკურნალობას კვლევის პერიოდში. ანტივირუსული მკურნალობის სტატუსი (მკურნალობაზე მყოფი/მკურნალობაზე არ მყოფი) გამოყენებულ იქნა როგორც ერთ-ერთი კლინიკური ცვლადი და შეფასდა მისი ასოციაცია ღვიძლის ფიბროზის ხარისხთან.

კვლევაში გამოყენებული კითხვარი:

კვლევის მეთოდოლოგია კვლევის ინსტრუმენტად ასევე ითვალისწინებდა ავტორის მიერ შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებას; სოციო-დემოგრაფიულ, ქცევით ფაქტორებთან და B ჰეპატიტის შესახებ ცოდნის დონესთან ღვიძლის ფიბროზის ხარისხის ასოციაციის შეფასებისთვის საკვლევი პირების გამოკითხვა ჩატარდა ინტერვიუერის მიერ სტრუქტურიზებული, ადმინისტრირებული კითხვარით, რომელიც შედგება 26 კითხვისგან და ოთხი სექციისგან; კითხვარის პირველი სექცია (სექცია A) მოიცავდა: სოციო-დემოგრაფიულ მონაცემებს (ასაკი, სქესი, განათლება, დასაქმება, ოჯახური მდგომარეობა, შემოსავალი), მეორე სექცია (სექცია B): ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ მონაცემებს, მესამე სექცია (სექცია C): ქცევით ფაქტორებს (ალკოჰოლის მოხმარება, ალკოჰოლის მოხმარების სიხშირე, თამბაქოს და მძიმე ნარკოტიკის მოხმარება და სხვა), ხოლო მეოთხე სექცია (სექცია D): B ჰეპატიტისა და ღვიძლის ფიბროზის შესახებ ინფორმირებულობისა და დამოკიდებულებების შეფასებას.

კვლევის ეთიკური მხარე

კვლევის ეთიკური კომისიის დასკვნა მოპოვებულ იქნა საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის ბიოსამედიცინო კვლევების ეთიკურ საკითხთა საბჭოსგან (UGREC-24-24). მონაცემების მოპოვებისას და სტატისტიკური ანალიზის დროს დაცული იყო ანონიმურობის პრინციპი. მონაცემების მოპოვება მოხდა კლინიკის დეიდენტიფიცირებული ბაზიდან, შესაბამისად მონაცემთა ბაზაში მონაწილეთა ვინაობა არ ფიქსირდებოდა. თითოეულ პაციენტს მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი, რის შემდეგაც მოხდა მონაცემების დამუშავება. პაციენტებისგან, რომელთანაც ჩატარდა გამოკითხვა სტრუქტურირებული კითხვარით მოპოვებულ იქნა ინფორმირებული თანხმობის ფორმა.

მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი

სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა IBM SPSS Statistics 26.0 პროგრამის გამოყენებით. მონაცემთა დასახასიათებლად გამოყენებულ იქნა აღწერილობითი სტატისტიკა. რაოდენობრივი ცვლადები წარმოდგენილია საშუალო მნიშვნელობითა და სტანდარტული გადახრით (Mean±SD), ხოლო კატეგორიული ცვლადები – აბსოლუტური (n) და ფარდობითი (%) სიხშირეებით. ფიბროზის ხარისხსა და შესწავლილ ცვლადებს შორის ასოციაციების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა χ^2 ტესტი, Student-ის t-ტესტი, Pearson-ის კორელაციის ანალიზი და ბინარული ლოგისტიკური რეგრესია. შედეგები წარმოდგენილია შანსთა თანაფარდობის (OR) და 95%-იანი ნდობის ინტერვალის (95% CI) სახით. სტატისტიკური მნიშვნელობის ზღვარად მიჩნეული იყო $p<0.05$.

შედეგები

კვლევის მონაწილეთა სოციო-დემოგრაფიული, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული, ქცევითი და ინფორმირებულობის მახასიათებლები:

კვლევაში თავდაპირველად შეირჩა ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე 347 პაციენტი. ჩართვისა და გამორიცხვის კრიტერიუმების საფუძველზე საბოლოო ანალიზში ჩაერთო 232 პაციენტი. სოციო-დემოგრაფიული, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული, ქცევითი და ინფორმირებულობის მონაცემების შეფასება სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით განხორციელდა 118 პაციენტში. საბოლოო ანალიზში ჩართული 232 პაციენტის საშუალო ასაკი შეადგენდა 44.61 ± 10.06 წელს (მედიანა – 43 წელი; დიაპაზონი: 21–84 წელი). მონაწილეთა 79.7% (n=185) მიეკუთვნებოდა ≤50 წლის ასაკობრივ ჯგუფს, ხოლო 20.3% (n=47) იყო 50 წელზე მეტი ასაკის. სქესობრივი განაწილების მიხედვით, პაციენტთა 59.9% (n=139) იყო მამაკაცი, ხოლო 40.1% (n=93) – ქალი.

კითხვარში მონაწილე 118 პაციენტიდან უმრავლესობა იყო ქართველი (98.3%), უმაღლესი განათლების მქონე (84.6%),

დასაქმებული (79.5%) და დაოჯახებული (67.5%). მონაწილეთა უმრავლესობა ცხოვრობდა ქალაქში (77.8%). ოჯახის ყოველთვიური შემოსავლის მიხედვით, ყველაზე ხშირ კატეგორიას წარმოადგენდა 1500 ლარს და მეტი შემოსავალი 41.9% (n=49). ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის შეფასებისას სხეულის მასის ინდექსის (BMI) საშუალო მაჩვენებელი იყო 26.20 ± 4.70 კგ/მ². მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ქრონიკული B ჰეპატიტის დიაგნოზის დადგენის შემდეგ მათი ცხოვრების ხარისხი არ შეცვლილა (76.3%), ხოლო საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეაფასა როგორც „ნორმალური“ (55.1%) ან „კარგი“ (27.1%). ქცევითი ფაქტორების შეფასებისას მონაწილეთა 48.3%-მა (n=57) აღნიშნა ალკოჰოლის მიმდინარე მოხმარება, 36.4%-მა (n=43) – ალკოჰოლის არმოხმარება, ხოლო 6.8%-მა (n=8) მიუთითა წარსულში ალკოჰოლის მოხმარებაზე.

ინფორმირებულობის შეფასებისას გამოვლინდა, რომ მონაწილეთა უმრავლესობას B ჰეპატიტის შესახებ მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია ჰქონდა. მონაწილეთა 56.5%-მა (n=65) აღნიშნა, რომ დაავადების შესახებ სმენოდა, თუმცა დეტალური ინფორმაცია არ ჰქონდა, ხოლო 35.7%-მა (n=41) მიუთითა, რომ გარკვეულწილად ესმოდა საკითხი. კითხვაზე, იწვევს თუ არა B ჰეპატიტი ღვიძლის დაზიანებასა და ფიბროზს, მონაწილეთა უმრავლესობამ (59.6%, n=68) აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი გარკვეულწილად ესმოდა. ღვიძლის დაზიანებისა და ფიბროზის შესაძლო რისკ-ფაქტორებს შორის მონაწილეები ყველაზე ხშირად ასახელებდნენ ალკოჰოლის მოხმარებას (71.1%, n=81), მძიმე ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებას (43.0%, n=49) და სიმსუქნეს (35.1%, n=40).

ღვიძლის ფიბროზის ხარისხის ასოციაცია სოციო-დემოგრაფიულ, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ, ქცევით და ინფორმირებულობის ფაქტორებთან:

სოციო-დემოგრაფიული ფაქტორების ანალიზმა აჩვენა, რომ ღვიძლის ფიბროზის ხარისხი სტატისტიკურად სარწმუნოდ

ასოცირდებოდა ასაკთან (Pearson χ^2=15.156; p=0.001) და სქესთან (Pearson χ^2=6.944; p=0.031). 50 წელზე მეტი ასაკის მონაწილეებსა და მამაკაცებში მაღალი ხარისხის ფიბროზი და ციროზი უფრო ხშირად აღინიშნებოდა. ეროვნებას, განათლების დონეს, დასაქმების სტატუსს, ოჯახურ მდგომარეობას, ოჯახის შემოსავალს, ოჯახის წევრთა რაოდენობასა და საცხოვრებელ ადგილს ღვიძლის ფიბროზის ხარისხთან სტატისტიკურად სარწმუნო ასოციაცია არ გამოუვლენია (p>0.05). ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ფაქტორებიდან სტატისტიკურად სარწმუნო ასოციაცია გამოვლინდა დიაგნოზის დადგენისას არსებულ და ამჟამინდელ ფიბროზის ხარისხებს შორის (Pearson χ^2=55.379; p<0.001), ასევე სხეულის წონასა და ღვიძლის ფიბროზის ხარისხს შორის (p=0.017). მაღალი წონის მქონე მონაწილეებში მნიშვნელოვანი ფიბროზი და ციროზი უფრო ხშირად ფიქსირდებოდა. B ჰეპატიტის დიაგნოზის დადგენის პერიოდს, ცხოვრების ხარისხის ცვლილებას, ჯანმრთელობის თვითშეფასებას, ცხოვრების წესსა და სხეულის მასის ინდექსს (BMI) სტატისტიკურად სარწმუნო ასოციაცია არ გამოუვლენია (p>0.05). ქცევითი ფაქტორების შეფასებისას ალკოჰოლის მოხმარებასა და ღვიძლის ფიბროზის ხარისხს შორის გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო ასოციაცია (Pearson χ^2=20.232; p=0.027). ალკოჰოლის მიმდინარე ან წარსულში მოხმარების მქონე მონაწილეებში უფრო ხშირად აღინიშნებოდა მნიშვნელოვანი ფიბროზი და ციროზი. ალკოჰოლის მოხმარების ხანგრძლივობას, სიხშირეს, ალკოჰოლური სასმელის ტიპს, ერთ მიღებაზე მიღებულ რაოდენობას, აგრეთვე თამბაქოსა და ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებას სტატისტიკურად სარწმუნო ასოციაცია არ გამოუვლენია (p>0.05). ინფორმირებულობის შეფასებისას B ჰეპატიტის შესახებ ცოდნის დონესა და ღვიძლის ფიბროზის ხარისხს შორის, ასევე ინფორმირებულობასა და ცოდნას შორის იმის შესახებ, რომ B ჰეპატიტის ვირუსი იწვევს ღვიძლის დაზიანებასა და ფიბროზს, სტატისტიკურად სარწმუნო ასოციაცია არ გამოვლენილა (p>0.05). ასაკისა და სქესის მიხედვით ღვიძლის სიხისტის მაჩვენებლის (kPa) შეფასებისას დადგინდა, რომ 50 წელზე მეტი ასაკის მონაწილეებში ღვიძლის სიხისტის საშუალო მნიშვნელობა უფრო მაღალი იყო ≤50 წლის ასაკობრივ ჯგუფთან

შედარებით (8.77±5.54 kPa vs 6.88±5.15 kPa; p=0.038). ასევე, მამაკაცებში ღვიძლის სიხისტის საშუალო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატებოდა ქალების შესაბამის მაჩვენებელს (7.90±6.27 kPa vs 6.31±3.08 kPa; p=0.011) (ცხრილი 1).


ცხრილი 1. ღვიძლის სიხისტის მაჩვენებლის (kPa) შედარება ასაკისა და სქესის მიხედვით (n=232)

ცვლადი	ჯგუფი	N	საშუალო ± SD (kPa)	P value
ასაკი	≤50 წელი	185	6.88 ± 5.15	0.038
	>50 წელი	47	8.77 ± 5.54	
სქესი	მდედრობითი	93	6.31 ± 3.08	0.011
	მამრობითი	139	7.90 ± 6.27	

კვლევაში მონაწილეთა კლინიკურ-ლაბორატორიული და ულტრაბგერითი მახასიათებლები პირველ ვიზიტზე:

პირველი ვიზიტის ფარგლებში შეფასდა ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტების კლინიკურ-ლაბორატორიული და ულტრაბგერითი მახასიათებლები. ღვიძლის სიხისტის საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 7.20±5.28 kPa-ს, ხოლო მედიანური მნიშვნელობა იყო 6.10 kPa (მინ–მაქს: 2.8–56.2). ღვიძლის სიხისტით შეფასებული ფიბროზის ხარისხის მიხედვით, პაციენტთა უმრავლესობა მიეკუთვნებოდა F0–F1 კატეგორიას (79.7%; n=185). მნიშვნელოვანი ფიბროზი (F≥2) გამოვლინდა 13.8%-ში (n=32), ხოლო ციროზი (F4) – 6.5%-ში (n=15) (გრაფიკი 1).

გრაფიკი 1. ღვიძლის ფიბროზის ხარისხის განაწილება პაციენტთა შორის (N=232)



ლაბორატორიული მაჩვენებლების შეფასებისას ALT-ის საშუალო მნიშვნელობა იყო 38.29±48.29 U/L, AST-ის – 29.31±27.23 U/L, GGT-ის – 33.76±54.20 U/L, ხოლო ALP-ის – 76.99±26.90 U/L. საერთო ბილირუბინის საშუალო დონე შეადგენდა 0.73±0.53 mg/dL-ს. ულტრაბგერითი კვლევისას პაციენტთა 49.4%-ში (n=114) აღინიშნებოდა ნორმალური ექოსტრუქტურა, ხოლო 50.6%-ში (n=117) – ღვიძლის პარენქიმის მსუბუქად ან მკვეთრად გამოხატული არაერთგვაროვნება. სპლენომეგალია გამოვლინდა 6.1%-ში (n=14), ხოლო პორტული ჰიპერტენზიისა და ასციტის ნიშნები მხოლოდ თითო პაციენტში (0.4%) დაფიქსირდა. ღვიძლის კეროვანი წარმონაქმნები არ გამოვლენილა პაციენტთა 71.4%-ში (n=165). გამოვლენილ წარმონაქმნებს შორის ყველაზე ხშირი იყო ჰემანგიომა (14.3%; n=33) და ცისტა (6.9%; n=16). ჰეპატოცელულური კარცინომა (HCC) დაფიქსირდა ერთ პაციენტში (0.4%). სეროლოგიური მარკერების შეფასებისას HBeAg დადებითი იყო პაციენტთა 4.6%-ში, ხოლო anti-HBeAg დადებითი – 96.9%-ში. პირველი ვიზიტის დროს ტენოფოვირით (TDF) მკურნალობას იღებდა პაციენტთა 12.1%, ხოლო 87.9% ანტივირუსულ მკურნალობას არ იღებდა.


კლინიკურ-ლაბორატორიული და ულტრაბგერითი მაჩვენებლების დინამიკა შემდგომი დაკვირვების პერიოდში:

ღვიძლის სიხისტის მაჩვენებლის დინამიკის შეფასებისას საშუალო მნიშვნელობა თანდათან მცირდებოდა პირველი ვიზიტიდან მესამე ვიზიტამდე (6.32±1.44 kPa; 6.01±1.23 kPa; 5.95±1.57 kPa), თუმცა აღნიშნულმა ცვლილებამ სტატისტიკურ სარწმუნოებას ვერ მიაღწია ($F(2,90)=1.93$; $p=0.151$). დაკვირვების მთელი პერიოდის განმავლობაში HCC სულ 4 პაციენტში გამოვლინდა, მათ შორის ერთი შემთხვევა პირველ ვიზიტზე, ორი – მეორე ვიზიტზე და ერთი – მესამე ვიზიტზე. აქედან ფიბროზის სტადიების მიხედვით HCC-ის სამი შემთხვევა გამოვლინდა F4 (ციროზის) ჯგუფში, ხოლო ერთი შემთხვევა დაფიქსირდა F0–F1 ჯგუფში. F≥2 ჯგუფში HCC შემთხვევა არ გამოვლენილა.

ღვიძლის ფიბროზის ხარისხის ასოციაცია კლინიკურ-ლაბორატორიულ, ულტრაბგერით მონაცემებთან და არაინვაზიურ ინდექსებთან:

ღვიძლის ფიბროზის ხარისხთან დაკავშირებული კლინიკურ-ლაბორატორიული და ულტრაბგერითი მონაცემების შესაფასებლად გაანალიზდა ღვიძლის სიხისტის მაჩვენებლის (kPa) ასოციაცია ულტრაბგერით მახასიათებლებთან, HBV-ის სეროლოგიურ მარკერებთან და ლაბორატორიულ პარამეტრებთან. ულტრაბგერითი მახასიათებლების მიხედვით, ღვიძლის სიხისტის საშუალო მაჩვენებელი სტატისტიკურად სარწმუნოდ უფრო მაღალი იყო ღვიძლის პარენქიმის არაერთგვაროვანი ექოსტრუქტურის მქონე პაციენტებში ნორმალური ექოსტრუქტურის მქონე პაციენტებთან შედარებით (8.71±6.89 kPa vs 5.65±1.30 kPa; $p<0.001$) (გრაფიკი 2).

გრაფიკი 2. ღვიძლის სიხისტის (kPa) ასოციაცია ღვიძლის ექოსტრუქტურასთან ($p < 0.001$)



ასევე, სპლენომეგალიის მქონე პაციენტებში ღვიძლის სიხისტის საშუალო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატებოდა სპლენომეგალიის არმქონე პაციენტების მაჩვენებელს (17.31±15.18 kPa vs 6.55±2.82 kPa; p=0.020). HBV-ის სეროლოგიური მარკერების შეფასებისას HBeAg-დადებით პაციენტებში ღვიძლის სიხისტის საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო HBeAg-უარყოფით პაციენტებთან შედარებით (12.86±10.29 kPa vs 6.73±3.62 kPa), თუმცა განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნო არ იყო (p=0.136). ანალოგიურად, anti-HBeAg-უარყოფით პაციენტებში ღვიძლის სიხისტის საშუალო მაჩვენებელი აღემატებოდა anti-HBeAg-დადებითი პაციენტების მაჩვენებელს (16.04±11.96 kPa vs 6.68±3.48 kPa), თუმცა აღნიშნულ შემთხვევაშიც სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება არ გამოვლენილა (p=0.155). Pearson-ის კორელაციური ანალიზის შედეგად გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო დადებითი კორელაცია ღვიძლის სიხისტის მაჩვენებელსა და ALT-ს ($r=0.309$; $p<0.001$), AST-ს ($r=0.353$; $p<0.001$), GGT-ს ($r=0.450$; $p<0.001$), ALP-ს ($r=0.535$; $p<0.001$), პირდაპირ ბილირუბინს ($r=0.175$; $p=0.012$), INR-ს ($r=0.240$; $p=0.001$), APRI-ს ($r=0.585$; $p<0.001$) და FIB-4-ს ($r=0.565$; $p<0.001$) შორის. ღვიძლის სიხისტის მაჩვენებელსა და თრომბოციტების რაოდენობას შორის გამოვლინდა

სტატისტიკურად სარწმუნო უარყოფითი კორელაცია (r=-0.321; p<0.001). სტატისტიკურად სარწმუნო კავშირი არ გამოვლენილა ღვიძლის სიხისტის მაჩვენებელსა და საერთო ბილირუბინს (p=0.111) და HBV DNA-ის დონეს (p=0.333) შორის.

ფიბროზის არაინვაზიური შეფასების მიზნით გაანალიზდა ღვიძლის ფიბროზის შეფასების არაინვაზიური ინდექსები (APRI და FIB-4) და ულტრაბგერითი მახასიათებლები კვლევის მონაწილეთა ქვეჯგუფში (n=150). შეფასდა აღნიშნული მაჩვენებლების ასოციაცია მაღალი ფიბროზის არსებობასთან. ფიბროზის არაინვაზიური ინდექსების ანალიზმა აჩვენა, რომ დაბალი და მაღალი ფიბროზის მქონე პაციენტებს შორის FIB-4-ის საშუალო მნიშვნელობა სტატისტიკურად სარწმუნოდ განსხვავდებოდა: დაბალი ფიბროზის მქონე პაციენტებში FIB-4-ის საშუალო მნიშვნელობა შეადგენდა 0.86±0.42-ს, ხოლო მაღალი ფიბროზის მქონე პაციენტებში – 1.77±1.91-ს (p=0.002; 95% CI: 0.34–1.46). FIB-4 ინდექსსა და ღვიძლის სიხისტის მაჩვენებელს შორის გამოვლინდა ძლიერი დადებითი კორელაცია (r=0.75; 95% CI: 0.66–0.82; p<0.001). APRI ინდექსი სტატისტიკურად სარწმუნოდ ასოცირდებოდა ფიბროზის ხარისხთან (p<0.001). APRI >0.5 მქონე პაციენტებში მაღალი ფიბროზის ჯგუფში მოხვედრის შანსი მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო APRI ≤0.5 მქონე პაციენტებთან შედარებით (OR=5.83; 95% CI: 1.81–18.80), ხოლო APRI >1.0 დაკავშირებული იყო მაღალი ფიბროზის არსებობის კიდევ უფრო მაღალ შანსთან (OR=10.81; 95% CI: 2.79–41.92). ულტრაბგერითი მახასიათებლების მიხედვით, ღვიძლის პარენქიმის არაერთგვაროვანი ექოსტრუქტურა მაღალი ფიბროზის მქონე პაციენტების 77.1%-ში გამოვლინდა, ხოლო დაბალი ფიბროზის მქონე პაციენტებში — 40.2%-ში (p<0.001). არაერთგვაროვანი ექოსტრუქტურის მქონე პაციენტებში მაღალი ფიბროზის არსებობის შანსი 5-ჯერ უფრო მაღალი იყო ნორმალური ექოსტრუქტურის მქონე პაციენტებთან შედარებით (OR=5.0; 95% CI: 2.29–10.87) (ცხრილი 2).

ცხრილი 2. პაციენტთა მახასიათებლები და მათი შედარება ფიბროზის ხარისხის მიხედვით (n=150)

მაჩვენებელი	F0–F1 (n=102)	F≥2 (n=48)	p value	OR (95% CI)
სქესი				
მამრობითი	57 (55.9%)	34 (70.8%)	p=0.057	1.91 (0.91–3.99)
მდედრობითი	45 (44.1%)	14 (29.2%)		
ასაკობრივი ჯგუფი				
≤40 წელი	51 (50.0%)	18 (37.5%)	p=0.104	1.66 (0.82–3.36)
>40 წელი	51 (50.0%)	30 (62.5%)		
APRI				
≤0.5	94 (92.2%)	29 (60.4%)		Ref
>0.5	5 (4.9%)	9 (18.8%)	p<0.001	5.83 (1.81–18.80)
>1.0	3 (2.9%)	10 (20.8%)		10.81 (2.79–41.92)
ღვიძლის ექოსტრუქტურა				
ნორმალური	61 (59.8%)	11 (22.9%)	p<0.001	5.00 (2.29–10.87)
არაერთგვაროვანი	41 (40.2%)	37 (77.1%)		
ულტრაბგერითი კვლევით შეფასებული				

მაჩვენებელი	F0–F1 (n=102)	F≥2 (n=48)	p value	OR (95% CI)
ღვიძლის წარმონაქმნები				
კეთილთვისებიანი	101 (68.7%)	46 (31.3%)	0.240	0.22 (0.02–2.57)
ავთვისებიანი	1 (33.3%)	2 (66.7%)		

ანტივირუსული მკურნალობის სტატუსსა და ღვიძლის ფიბროზის ხარისხს შორის გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო ასოციაცია. მაღალი ფიბროზის მქონე პაციენტებში ანტივირუსულ მკურნალობას იღებდა პაციენტთა 26.0%, ხოლო დაბალი ფიბროზის მქონე პაციენტებში – 8.2% (p=0.002).

დასკვნები

საქართველოში ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტებში პირველად შეფასდა ღვიძლის ფიბროზის ხარისხი გარდამავალი ელასტოგრაფიით, მისი დინამიკა და ასოციაცია კლინიკურ, სოციო-დემოგრაფიულ და ქცევით ფაქტორებთან.

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტებში ღვიძლის ფიბროზის ყველაზე გავრცელებულ კატეგორიას წარმოადგენდა F0–F1 ხარისხი, ხოლო მნიშვნელოვანი ფიბროზი (F≥2) და ციროზი (F4) პაციენტთა შედარებით მცირე ნაწილში გამოვლინდა.

50 წელზე მეტი ასაკი სტატისტიკურად სარწმუნოდ ასოცირდებოდა ღვიძლის ფიბროზის უფრო მაღალ ხარისხთან და მაღალი ღვიძლის სიხისტის არსებობასთან. ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ 50 წელზე მეტი ასაკი დაკავშირებული იყო მაღალი ღვიძლის სიხისტის არსებობის 2.3-ჯერ უფრო მაღალ შანსთან.

მამაკაცებში ღვიძლის ფიბროზის მაღალი ხარისხი უფრო ხშირად აღინიშნებოდა ქალებთან შედარებით.

სხეულის უფრო მაღალი წონა ასოცირდებოდა ღვიძლის ფიბროზის უფრო მაღალ ხარისხთან.

ალკოჰოლის მოხმარება ასოცირდებოდა ღვიძლის ფიბროზის უფრო მაღალ ხარისხთან.

ALT-ის, AST-ის, GGT-ის, ALP-ის, პირდაპირი ბილირუბინისა და INR-ის მატება დადებითად კორელირებდა ღვიძლის სიხისტის მაჩვენებელთან, ხოლო თრომბოციტების რაოდენობა უარყოფითად კორელირებდა ღვიძლის სიხისტის მაჩვენებელთან.

კვლევამ დაადასტურა APRI-ისა და FIB-4-ის მნიშვნელობა ღვიძლის ფიბროზის არაინვაზიურ შეფასებაში. ორივე ინდექსი სტატისტიკურად სარწმუნოდ ასოცირდებოდა ფიბროზის მაღალ ხარისხთან, ხოლო FIB-4-სა და ღვიძლის სიხისტის მაჩვენებელს შორის გამოვლინდა ძლიერი დადებითი კორელაცია.

ღვიძლის არაერთგვაროვანი ექოსტრუქტურის მქონე პაციენტებში მაღალი ფიბროზის არსებობის შანსი მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო ნორმალური ექოსტრუქტურის მქონე პაციენტებთან შედარებით. ასევე, სპლენომეგალია ასოცირდებოდა ღვიძლის სიხისტის უფრო მაღალ მაჩვენებელთან და ფიბროზის უფრო გამოხატულ ხარისხთან.

კვლევის შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ მაღალი ფიბროზის მქონე პაციენტებში ანტივირუსული მკურნალობა უფრო ხშირად გამოიყენებოდა.

მიღებული მონაცემები ადასტურებს კლინიკური, ლაბორატორიული, ქცევითი და ულტრაბგერითი ფაქტორების კომპლექსური შეფასების მნიშვნელობას ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტებში ღვიძლის ფიბროზის გამოვლენისა და შეფასების პროცესში.

წინამდებარე და საქართველოში ჩატარებული მსგავსი კვლევების შედეგები ქმნის მტკიცებულებით საფუძველს B ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პაციენტთა კლინიკური მეთვალყურეობისა და შეფასების მიდგომების შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

მიღებული შედეგები, ღვიძლის ციროზისა და ჰეპატოცელულური კარცინომის, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვანი გამოწვევების, განვითარების რისკის გათვალისწინებით, წარმოაჩენს მაღალი ხარისხის ფიბროზის დროული გამოვლენის, რისკის ჯგუფების იდენტიფიცირებისა და დაავადების პროგრესირების პრევენციის მნიშვნელობას საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის.

რეკომენდაციები

წინამდებარე კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტებში ღვიძლის ფიბროზის ხარისხი ასოცირებულია როგორც დემოგრაფიულ და ქცევით, ასევე ლაბორატორიულ და ულტრაბგერით ფაქტორებთან. მიღებული შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მაღალი რისკის მქონე პაციენტების იდენტიფიცირების, დაავადების პროგრესირების ადრეული გამოვლენისა და ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტების მართვის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავებულია შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდებულია ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტებში ღვიძლის ფიბროზის შეფასება და დინამიკაში დაკვირვება დაავადების პროგრესირების ადრეული გამოვლენისა და პაციენტების დროული მართვის მიზნით.

რეკომენდებულია ღვიძლის ფიბროზის შეფასება არაინვაზიური დღესდღეობით ყველაზე ვალიდური, გარდამავალი ელასტოგრაფიის მეთოდით.

გარდამავალი ელასტოგრაფიის შეზღუდული ხელმისაწვდომობის პირობებში ასევე არაინვაზიური ინდექსების APRI-ისა და FIB-4-ის გამოყენება, როგორც ფიბროზის შეფასების უფრო ხელმისაწვდომი და პრაქტიკული მეთოდებისა.

ღვიძლის დაავადების პროგრესირებისა და მასთან დაკავშირებული გართულებების ადრეული გამოვლენისა და პრევენციის მიზნით რეკომენდებულია იმ პაციენტების მიზნობრივი შეფასება და მონიტორინგი, რომელთაც აღენიშნებათ წინამდებარე კვლევის ფარგლებში ღვიძლის ფიბროზის უფრო მაღალ ხარისხთან ასოცირებული ფაქტორები, მათ შორის 50 წელზე მეტი ასაკი, მამრობითი სქესი, ალკოჰოლის მოხმარება, ღვიძლის ფიბროზთან ასოცირებული ლაბორატორიული ცვლილებები (ტრანსამინაზების, GGT-ის, ALP-ის, პირდაპირი ბილირუბინისა და INR-ის მომატება, თრომბოციტების რაოდენობის შემცირება) ან ულტრაბგერითი ცვლილებები (ღვიძლის პარენქიმის არაერთგვაროვანი ექოსტრუქტურა და სპლენომეგალია).

რეკომენდებულია ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტებში ალკოჰოლის მოხმარების შემცირებისა და სხეულის ჯანსაღი წონის შენარჩუნების ხელშეწყობისკენ მიმართული საგანმანათლებლო და პრევენციული ღონისძიებების გაძლიერება.

რეკომენდებულია ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტებში ჰეპატოცელულური კარცინომის ადრეული გამოვლენის მიზნით მონიტორინგის განხილვა, მათ შორის იმ პაციენტებში, რომელთაც არ აღენიშნებათ მნიშვნელოვანი ფიბროზი ან ციროზი.

რეკომენდებულია B ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პაციენტთა კლინიკური შეფასებისა და მეთვალყურეობის მიდგომების შემდგომი გაუმჯობესება კვლევაში გამოვლენილი ფიბროზთან ასოცირებული ფაქტორების გათვალისწინებით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დონეზე რეკომენდებულია ქრონიკული B ჰეპატიტის მქონე პაციენტებში ღვიძლის ფიბროზის

ადრეული გამოვლენისა და რისკზე დაფუძნებული მონიტორინგის ხელშეწყობა.

დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა:

1. Inaishvili, L., Gotsiridze, E., Gulbiani, L., Pruidze N., Butsashvili M. Ultrasound findings across liver fibrosis stages defined by transient elastography in patients with chronic hepatitis B in Georgia. J Ultrasound (2026). https://doi.org/10.1007/s40477-026-01242-9
2. Inaishvili L., Pruidze N., Tsirdava E., Gulbiani L. SOCIODEMOGRAPHIC CHARACTERISTICS ACCORDING TO LIVER FIBROSIS STAGE IN PATIENTS WITH CHRONIC HEPATITIS B IN GEORGIA *Znanstvena misel journal №116/2026* https://doi.org/10.5281/zenodo.21686415
3. Lela Inaishvili, Nikoloz Pruidze, Lali Sharvadze, Elene Gotsiridze, Giorgi Silagadze, Sopio Giuashvili, Mariam Chakhnashvili, Elene Tsirdava, Tamriko Bulia (2026) Hepatocellular Carcinoma in Chronic Hepatitis B: The Role of Ultrasound in Surveillance *Georgian Scientists Vol. 8 Issue 2, 2026* https://doi.org/10.52340/gs.2026.08.02.34
4. Lela Inaishvili, Tamriko Bulia, Lali Sharvadze, Nikoloz Pruidze (2025) Hepatitis B in Georgia: Progress, Gaps, and Equity Across the Prevention-to-Care Cascade *Georgian Scientists Vol. 7 Issue 4, 2025* https://doi.org/10.52340/gs.2025.07.04.43
5. კვლევის საბოლოო შედეგების ამსახველი სტატია: „Association of liver fibrosis stage assessed by transient elastography with APRI, FIB-4, and abdominal ultrasound in chronic hepatitis B patients in Georgia“ არის რეცენზიის პროცესში მაღალ რეიტინგულ ჟურნალში BMC Research Notes (Springer Nature).

University of Georgia
School of Health Sciences
Doctoral Program: Public Health

With the right of the manuscript

Lela Inaishvili

Association of Liver Fibrosis Stage with Clinical, Socio-Demographic, and Behavioural Factors among Patients with Chronic Hepatitis B in Georgia

Thesis submitted for obtaining the academic degree of
Doctor of Public Health

Dissertation Herald

(Specialty-0904 - Public Health)
Tbilisi, Georgia

2026

The dissertation was completed at the University of Georgia
School of Health Sciences.

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF) [PHDF-24-904; "Association of Liver Fibrosis Degree with Clinical, Socio-Demographic, and Behavioral Factors among the Patients with Chronic Hepatitis B in Georgia"].

Composition of the Dissertation Council:
Dissertation Council Chairman: Otar Toidze, MD, PhD
Scientific supervisor: Nikoloz Pruidze, MD, PhD
Scientific Co-supervisor: Maia Butsashvili, MD, PhD
Member of the Dissertation Council: Lali Sharvadze, MD, PhD
Dissertation Council Internal Expert: Maia Kereselidze, MD, PhD
Dissertation Council External Expert: Maia Zhamutashvili, MD, PhD
Dissertation Council External expert: Mamuka Zakalashvili, MD, PhD

The dissertation defence will take place on : 25 November 2026 at 16:00.
Address: 77 Kostava Street, Tbilisi, Georgia, Auditorium #519.

The dissertation is available at the Library of the University of Georgia and on the university's website: www.ug.edu.ge.

The dissertation messenger was sent on: 30.10.2026

Secretary of the Dissertation Council: Natia Manjikashvili

Introduction

Relevance of the topic and research problem

